ფსიქოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ფაქტორების ზეგავლენა მეორე ენის ათვისების პროცესზე ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე

სოფი ბიბლაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერი ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფი ბიბლაია

08.02.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის მეორე ენის ათვისების პროცესში ფსიქოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ფაქტორების გავლენას. ნაშრომში განხილულია მეორე ენის ათვისების ლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და სოციოლინგვისტური თეორიები, რომლებიც საშუალებას იძლევა აიხსნას ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სარემედიაციო გაკვეთილების კვლევის შედეგები. COVID-19 პანდემიის პირობებში მსოფლიოში სარემედიაციო გაკვეთილების მიმართ ინტერესი თანდათან იზრდება. საქართველოში ეს პროგრამა კერძო სექტორის რამდენიმე სკოლაშია დანერგილი. აქიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კვლევა საკმაოდ **აქტუალურია.** კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კონტენტ-ანალიზს. კვლევის **მიზანია** მეორე ენის ათვისების ეტაპები განიხილოს თანამდევი მენტალური პროცესების კუთხით. ენის ათვისება პირდაპირ მიბმულია კოგნიტურ და სოციალურ განვითარებასთან და ერთი მეორის დამოუკიდებლად არ არსებობს. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, განისაზღვროს სარემედიაციო გაკვეთილების ეფექტიანობა. წარმოდგენილი კვლევა საინტერესო იქნება ინგლისური ენის დამწყები მასწავლებლებისთვის, მკვლევარებისთვის, განათლების ან ინგლისური ენის პროგრამის სტუდენტებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მეორე ენის ათვისება, სოციოლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური ფაქტორები, რემედიაცია